ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 252 (3991) 27 1969 წ. დეკემბერი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ფიბა-ს პრეზიდენტი თბილისში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის კალათბურთის ფედერაციის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში სტუმრობს კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) პრეზიდენტი, ბ-ნი აბდელ მონეიმ ვაჰბი მეუღლითურთ.

ბ-ნმა ვაჰბიმ სამი დღე თბილისში დაჰყო. პრეზიდენტმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, სპორტული ბაზები — სპორტის სასახლე, „ლოკომოტივის" სტადიონი, იყვნენ ფიგურული ციგურაობის სკოლაში, ზამთრის საცურაო აუზსა და თბილისის ზღვაზე, ინტერესით გაეცნენ საქართველოს უძველეს სატახტო ქალაქ მცხეთას და მის ისტორიულ ძეგლებს.

25 დეკემბერს ბ-ნი ვაჰბი და მისი თანმხლები პირები დაესწრნენ კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩს თბილისის „დინამოსა" და ლენინგრადის „სპარტაკს" შორის.

ბ-ნი ვაჰბი მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ. სტუმარმა დიდი ინტერესით მოისმინა მასპინძლის ნაამბობი საქართველოში სპორტის განვითარების დონეზე, ქართველი სპორტსმენების მიღწევების შესახებ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე, სპორტის ეროვნულ სახეობებზე. ბ-ნი ვაჰბი განსაკუთრებით დაინტერესდა საქართველოში ფიზკულტურული კადრების აღზრდის სისტემით.

26 დეკემბერს ბ-ნი ვაჰბი და მისი თანმხლები პირები მოსკოვს გაფრინდნენ. თბილისის აეროდრომზე სტუმრები გააცილეს გ. სიხარულიძემ, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. სანაძემ, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა გ. თოხაძემ, თბილისის სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

* * *

სურათებზე: ზემოთ — აბდელ მონეიმ ვაჰბი და მისი მეუღლე თბილისის სპორტის სასახლეში, ადგილობრივი „დინამოსა" და ლენინგრადის „სპარტაკის" კალათბურთელთა მატჩის დროს; ქვემოთ — შეხვედრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში: (მარცხნიდან) — ფიბა-ს პრეზიდენტი აბდელ მონეიმ ვაჰბი, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე და თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ერთხელ ბრძენიც შეცდება

დ. ბრონშტეინი — ა. სუეტინი (ორივე — მოსკოვი) 0,5:0,5, ე. კოსტრო (პოლონეთი) — ბ. გურგენიძე (თბილისი) 0,5:0,5, მ. ტალი (რიგა) — ე. გუფელდი (თბილისი) 1:0, ნ. სპირიდონოვი (ბულგარეთი) — ლ. შამკოვიჩი (მოსკოვი) 1:0, ვ. ჩოკილტია (რუმინეთი)—რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი) 0,5:0,5, რ. ხოლმოვი (მოსკოვი) — რ. ფუქსი (გდრ) 0,5:0,5, ე. ჰააგი (უნგრეთი) — ლ. მაშიჩი (იუგოსლავია) გადაიდო, ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — ა. ლეინი (მოსკოვი) გადაიდო.

როგორც ჩანს, ზოგიერთ დიდოსტატს უჭირს თავი დააღწიოს „დიდოსტატური ყაიმის" ცთუნებას. რას იზამ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. საინტერესოა, რომ სწორედ ეს „მოყაიმე" დიდოსტატები საყვედურობენ: ჩვენს სასიამოვნოდ ჭადრაკი ვერ გვითამაშია, სულ შესარჩევ ტურნირებში გამოვდივართო. მაგრამ ვ. გოგიბერიძის მემორიალიდან არავინ არ „ირჩევა" ითამაშეთ თქვენს სასიამოვნოდ რამდენიც გნებავთ. ასე იქცევა ყველა, ვისაც ბრძოლა მართლა უყვარს. მაგალითად, ტალი. გუფელდთან ტალმა საიერიშო პოზიცია ააგო. თბილისელი დიდოსტატის მეფეს საფრთხე დაემუქრა. მაგრამ ეს როდი აშინებდა გუფელდს, იგი თავად ფიქრობდა კონტრთამაშზე.

სადემონსტრაციო დაფაზე საოცარი სვლა აღიბეჭდა.

გუფელდი



ტალი

ამ მდგომარეობაში გუფელდმა 24. ... f5 ითამაშა. ტალმა გაკვირვებით შეხედა მეტოქეს, ორიოდე წამს იფიქრა და ლაზიერით g7-დან ქიში გამოაცხადა. გუფელდმა სევდიანად გაიღიმა, მიხვდა, რომ მწარედ შეცდა და დანებდა. ამაზეა ნათქვამი: ერთხელ ბრძენიც შეცდებაო.

ძნელია მეტოქეს თავს მოახვიო შენი სურვილები, როცა შავი ფერის ფიგურებს სარდლობ. ამიტომ გაუჭირდა გურგენიძეს კოსტროსთან შეხვედრაში ინიციატივისთვის ბრძოლა. პოლონელი მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრე აღმოჩნდა. ზედმეტ რისკს შეეძლო თვით გურგენიძისთვის მოეტანა ზიანი. ყაიმი სავსებით ლოგიკური შედეგი იყო ამ შეხვედრაში.

შამკოვიჩი წამით „დაბრმავდა" და სპირიდონოვმა ლაზიერი შეიწირა ეტლში, კუსა და მხედარში. ეს მნიშვნელოვანი უპირატესობაა. სპირიდონოვმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ სამი ფიგურის შეთანხმებული მოქმედება გამარჯვების ნაღდი საწინდარია.

ჭეშმარიტი მებრძოლია ჰორტი. მან დიდოსტატურად გამოიყენა ლეინის უმნიშვნელო შეცდომა და გარკვეული უპირატესობა მოიპოვა. პარტია გადაიდო პოზიციაში, სადაც მოსკოველს ყაიმი აქვს საძებნელი.

ესეც რეკორდი!

გუშინწინ საღამოს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება: შამკოვიჩი — გურგენიძე 1:0, შამკოვიჩი — ჯინჯიხაშვილი 0:1, ტალი — ჰორტი 0,5:0,5, სუეტინი — სპირიდონოვი 0:1, ჰააგი — მაშიჩი 0:1, ჰორტი — ლეინი 1:0.

შამკოვიჩმა მალე დაარწმუნა გურგენიძე წინააღმდეგობის უაზრობაში. მერე მოსკოველი დიდოსტატი მშვიდად მიუჯდა მაგიდას ჯინჯიხაშვილთან ენდშპილის სათამაშოდ. თბილისელმა შესაშური მოთმინება და შეუპოვრობა გამოიჩინა: პარტია თითქმის 20 საათს გაგრძელდა და 177-ე სვლაზე დამთავრდა. ეს სვლების სარეკორდო რიცხვია.

ტალ—ჰორტის I ტურში გამოტოვებულ პარტიაში უაღრესად მშვიდობიანი თამაში 12 სვლაში მშვიდობიანადვე დასრულდა.

თ. გიორგაძე.

ჯერჯერობით...

დილით მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა. სპირიდონოვი და ლეინი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. ახალი ძალით იფეთქა ბრძოლამ ჰორტ — ჯინჯიხაშვილის პარტიაში. საქართველოს ჩემპიონი ზუსტად იგერიებდა მეტოქის მუქარებს. პოზიცია სავსებით გათანაბრდა და ყაიმს თითქოს აღარაფერი ედგა წინ. მაგრამ სწორედ აქ მოხდა საშინელი: • ჯინჯიხაშვილს უკანასკნელ-საკონტროლო, - 56-ე სვლაზე 7 წუთი ჰქონდა დარჩენილი. იგი ჩაფიქრდა და... დაავიწყდა საათის არსებობა.

—თქვენ დრო გადააცილეთ,— უთხრა ჰორტმა ჯინჯიხაშვილს, როცა საქართველოს ჩემპიონს საათზე ალამი ჩამოუვარდა, და საერთაშორისო არბიტრს ბ. ბარანოვს (მოსკოვი) უხმო. მსაჯმა თბილისელ ოსტატს წაგება ჩაუთვალა. ეს ჯინჯიხაშვილის პირველი მარცხია ტურნირში.

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ჯინჯიხაშვილი — 5 ქულა, გუფელდი, გურგენიძე — 4,5-4,5, ჰორტი — 4 (1), ტალი, სუეტინი, სპირიდონოვი — 4-4.

ნონა გაფრინდაშვილის ჩამოსვლა

ჯერჯერობით...

იუგოსლავიიდან თბილისში დაბრუნდა ევროპის ქვეყნების თასის I გათამაშებაში გამარჯვებული, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილი. მან განაცხადა, რომ თასის შემდგომ გათამაშებებში სსრ კავშირიდან ორი მოჭადრაკე ითამაშებს: მსოფლიო ჩემპიონი და სსრ კავშირის ჩემპიონი.



ბორის სპასკი — პირველი სპორტსმენი

სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის კონკურსში — „1969 წლის 10 საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენი" — გაიმარჯვა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონმა ბ. სპასკიმ.

ათეულში მომდევნო ადგილებზე გავიდნენ. ი. როდნინა და ა. ულანოვი (შეიარაღებული ძალები, მოსკოვი — ფიგურული ციგურაობა), ნ. ჩიჟოვა („სპარტაკი", ლენინგრადი — მძლეოსნობა), ა. ბონდარჩუკი („კოლოსი", როვნო—მძლეოსნობა), ვ. ბორზოვი („ბურევესტნიკი", კიევი — მძლეოსნობა), ვ. კურენცოვი (შეიარაღებული ძალები, მოსკოვის ოლქი — ძალოსნობა), ლ. კაუნისტე („ლოკომოტივი", რიგა — ციგურებით სწრაფრბენა), ვ. მუნტიანი („დინამო", კიევი — ფეხბურთი), ა. ტიხონოვი („დინამო", ნოვოსიბირსკი — ბიატლონი), ი. ლუსისი (შეიარაღებული ძალები, რიგა — მძლეოსნობა).

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონი ბ. სპასკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხმაურებიან წერილს: „სპეციალისტებო, თქვენ რას იტყვით?"

სხვაც ბევრი რამ...

„ლელოს" 16 ნოემბრის ნომერში „სპორტის დედოფლის" განვითარების შემაფერხებელი მიზეზებია დასახელებული, მაგრამ ერთ წერილში ყველა ხელშემშლელი პირობის ჩამოთვლა ძნელია. ჩემი აზრით, ნიჭიერი მძლეოსნების შერჩევასა და აღზრდას სხვაც ბევრი რამ აფერხებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამატჩო შეხვედრებს. საქართველოში კი რატომღაც არავინ ზრუნავს სკოლების, რაიონების, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრების რაც შეიძლება ხშირად გამართვაზე.

ნიჭიერი მძლეოსნები, მე ვიტყოდი, ტალანტები, ზოგჯერ ისეთ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო შეჯიბრებებში გამოჩნდებიან ხოლმე, როგორიცაა, მაგალითად, „მორბენლის დღე", „მხტომელის დღე", „მტყორცნელის დღე".

მძლეოსნობა უაღრესად შრომატევადი სახეობაა, რომელიც ხანგრძლივ, სრულწლიურ ვარჯიშს მოითხოვს ჩვენ, მწვრთნელებს, ამის უფლებას თითქოს არავინ გვართმევს. მაგრამ რა გამოდის? — ზაფხულის არდადეგების პერიოდში ბავშვებთან მეცადინეობა წყდება და ეს ორი თვეც საკმარისია იმისთვის, რომ ახალი სასწავლო წლიდან ყველაფერი თავიდან დასაწყები გახდეს. რა კარგი იქნება, თუნდაც ცდის სახით რაიონების ნიჭიერი მძლეოსნებისთვის სპორტული ბანაკი მოეწყოს.

მწვრთნელებს ხშირად გვსაყვედურობენ: ბავშვებს სათანადოდ ვერ აინტერესებთ, ჯგუფებში ვერ იზიდავთო. მართალია, მაგრამ ამაში მარტო მწვრთნელები როდი არიან დამნაშავე — დიდი ბრალი მიუძღვით შეჯიბრების ჩამტარებელ ორგანიზაციებსაც, რომლებიც ნორჩების მისწრაფებას არ ითვალისწინებენ. ბრძოლაში მოპოვებული პირველი სიგელი ბავშვისთვის დიდი ჯილდოა, შემდგომი დაოსტატების საუკეთესო სტიმულია. ჩვენში კი ხშირად არათუ სასკოლო და რაიონულ პირველობებში გამარჯვებულ ბავშვებს, ბევრჯერ რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც არ აძლევენ სიგელებს (აღარაფერს ვამბობთ უეტონებსა და მედლებზე).

სწორია ე. გაგუას მოსაზრება, რომ ზოგიერთ მწვრთნელს არ ჰყოფნის კვალიფიკაცია აღსაზრდელის შემდგომი დაოსტატების ხელმძღვანელობისთვის. მაგრამ რას აკეთებენ ისინი, უფრო მცოდნე, გამოცდილი, უფრო კვალიფიციური მწვრთნელები, რას აკეთებენ ზემდგომი ინსტანციები, რომელთაც მძლეოსნობის განვითარების გამო პასუხისმგებლობა ეკისრებათ, რატომ არ აწყობენ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა თუ სემინარებს?

ვერ დავეთანხმები გაგუას, თითქოს საშუალო და სპორტულ სკოლებში შეთავსებით მუშაობა უარყოფით შედეგს იძლეოდეს. მე ვფიქრობ, სკოლაში მომუშავე მასწავლებელს ნიჭიერი მძლეოსნების შერჩევის მეტი საშუალება აქვს. საქმე ის არის, შემდეგ როგორ იზრუნებს იგი ბავშვების ნიჭის განვითარებისთვის.

ვ. ზანიერი,

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის მწვრთნელი მძლეოსნობაში.

ხაშური.

ხმლები ჩააგეს

სოხუმში დამთავრდა აფხაზეთის პირადგუნდური პირველობა ფარიკაობაში. სარბიელზე გამოვიდნენ „დინამოსა" და „სპარტაკის" ნაკრები გუნდები, სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიური და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტების სპორტკლუბების წარმომადგენლები.

რაპირისტ ვაჟთა ასპარეზობის პირად ჩათვლაში აფხაზეთის ჩემპიონის წოდება დამაჯერებლად მოიპოვა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა, დინამოელმა მ. კარტოზიამ. II და III ადგილები შესაბამისად დაიკავეს სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ჰ. წურწუმიამ და პირველთანრიგოსანმა გ. ასათიანმა (სუბტროპიკული ინსტიტუტი).

ქალებში ყველას აჯობა პირველთანრიგოსანმა ე. ბოგოვაიამ („დინამო"). პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი დ. მანაშიროვა მეორე იყო. III ადგილზეა დინამოელი ნ. ქულიოვა.

დაშნით ფარიკაობაში ყველაზე უკეთ გამოვიდნენ დინამოელი პირველთანრიგოსანი ა. გვათუა და სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. ტოლოჩკო. სუბტროპიკული ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი თ. მანაგაძე III ადგილზეა.

ესპადრონისტებში ტოლი არ ჰყავდათ „დინამოს" წარმომადგენლებს, პირველთანრიგოსნებს ო. ბოციევს და ზ. შელიას. სპორტის ოსტატობის კანდიდატი, სპარტაკელი გ. გულუა III ადგილს დასჯერდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „დინამოს" კოლექტივმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ი. ჰანტურია). II ადგილზე გავიდნენ „სპარტაკის" მოფარიკავეები. სუბტროპიკული ინსტიტუტის სტუდენტებს III ადგილი ხვდათ.

პრიზიორ გუნდებს გადაეცათ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სიგელები.

გ. პოლოსიანი.

სოხუმი.

კორესპონდენტები გვატყობინებენ

◆ თელავი

ადგილობრივი ფიზკულტურის კოლექტივისა და სკოლის ინიციატივით მოეწყო ვოლეიბოლის კალათბურთელ გუნდების ხუთეულის ტურნირი თანასწორ ფინალით. ასპარეზობაში მონაწილეობდა ქალაქის 6 და რაიონის 10 საშუალო სკოლის გუნდები. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მე-3 და მე-4 საშუალო სკოლების ვაჟები. ანგარიშით 60:24 გაიმარჯვეს მე-3 სკოლელებმა.

ხ. ოხანაშვილი.

ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

ყოველი მეორე ფიზკულტურელია

ამ შემოდგომით ლენინგრადის მძლეოსნებმა სსრ კავშირის პირველობაში ვერცხლის მედლები მოიპოვეს ესტაფეტაში 4×1500 მეტრზე. ერთ-ერთ ეტაპზე ნევისპირა ქალაქის სახელით გამოდიოდა ფეხსაცმლის გაერთიანება „სკოროხოდის" მუშა ს. ვესელკოვი. მას კარგად იცნობენ საწარმოში და „ჩვენს კეინოს" ეძახიან. სახელგანთქმულ ოლიმპიურ ჩემპიონთან შედარება იქნებ ცოტა გაზვიადებულია, მაგრამ ვესელკოვი მართლაც მსუბუქად და ლამაზად დარბის.

ვესელკოვის სპორტული ბიოგრაფია დაიწყო იმ დღიდან, როცა 16 წლის ჭაბუკი სტადიონზე მივიდა. თავდაპირველად მან ქარხნის კროსში სცადა ძალა და მას შემდეგ მძლეოსანთა არც ერთი შეჯიბრება არ გამოუტოვებია. შემდეგ დაიწყო არმიაში სამსახური, რეგულარული მიმოწერა კოლეგებთან — სპორტსმენებთან. ყოველი წერილის ბოლოს „სკოროხოდის" მძლეოსანთა მწვრთნელის ლ. კრაინიკის მინაწერი იყო: რჩევა-დარიგებები, შენიშვნები, საწვრთნელ მეცადინეობათა შესაძლებელი ვარიანტები. უკვე არმიიდან დაბრუნების მეორე დღეს ვესელკოვი სპორტსაზოგადოება „ტრუდის" ნაკრებ გუნდში შეიყვანეს. მან ქალაქის ზაფხულის სპარტაკიადაში აიღო სტარტი და იმედი გაამართლა: ფინალური გარბენის შემდეგ ლენინგრადის ნაკრებში მიიწვიეს.

როცა ეცნობი ქარხნის პრიზების სოლიდურ კოლექციას, რაიონულ შეჯიბრებებში მიღებული თასებიდან სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში ველოსიპედისტების მიერ მოპოვებულ ბრინჯაოს ჯილდოებამდე, მიხვდები, რომ ვესელკოვმა სპორტკლუბ „სკოროხოდში" სავსებით კანონზომიერი გზა გაიარა.

სტადიონზე პირველად ამ ათი წლის წინ მივიდა ფაბრიკა „სკოროხოდის" ცეხის უფროსი ს. გოლუბცოვი, რომელიც რიკაობით იყო გატაცებული. შარშან ზაფხულს 53 წლის ვეტერანმა საქალაქო პირველობაში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. სხვათა შორის, ამავე ტურნირში სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახდა მისი ახალგაზრდა თანაგუნდელი, ავტომატიზაციის საამქროს ხარატი ვ. გრიგორიევიც. „სკოროხოდის" სპორტულ ღირსებას იცავენ ისეთი ცნობილი ათლეტები, როგორიც არიან ა. ჩერნოვა — უძლიერესი ლენინგრადელი მოთხილამურე, ველოსიპედისტები ე. ეგოროვი და ბ. ცვეტკოვი, ლენინგრადის შეიდგზის ჩემპიონი — სტაიერი ე. ლებედევი და ფეხსაცმლის გაერთიანების სხვა სპორტსმენები.

სპორტკლუბი „სკოროხოდი" 10 ათას სპორტსმენს აერთიანებს. ესე იგი, გაერთიანების ყოველი მეორე მუშაკი ფიზკულტურასა და სპორტს მისდევს. მასობრიობა კი ოსტატობის საწინდარია. „სკოროხოდში" 26 სპორტის ოსტატი, ასზე მეტი სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანია. 76 კაცი ლენინგრადის სხვადასხვა ნაკრებ გუნდში შედის.

გაერთიანების მუშაკთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურიზმი. მარტო შარშან 65 ლაშქრობასა და შეკრებაში 3 ათასზე მეტმა ტურისტმა მიიღო მონაწილეობა. ყველა ტურისტული შეკრება და ჯანმრთელობის ტრადიციული სპარტაკიადები ლენინგრადთან ახლოს ტარდება. ტბა ლუგის მაღალ ნაპირებზე სპორტული ბანაკია გაშლილი. აქ სპორტსმენთა განკარგულებაშია ნავების ბაზა, ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთის, კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედნები. ბაზის თანამედროვე კეთილმოწყობილი კორპუსები 500 ტურისტისთვისაა გათვალისწინებული.

„სკოროხოდში" აგრეთვე პოპულარულია ზამთრის ტურიზმიც. ყოველ კვირას გამოყოფილია სპეციალური ჯანმრთელობის მატარებლები და გაერთიანების ყველა მუშაკს შეუძლია მოაწყოს საინტერესო გასეირნება თხილამურებით. საგზურები უფასოა — პროფკავშირის ხარჯზე. თხილამურებს, ფეხსაცმელსა და სხვა აუცილებელ ინვენტარს სპორტკლუბის ბაზებში იძლევიან.

სპორტკლუბი 300-მდე ფიზკულტურის ინსტრუქტორსა და მწვრთნელს ითვლის. ისინი გაერთიანების მუშამოსამსახურენი არიან, რომლებიც უსასყიდლოდ ხელმძღვანელობენ სხვადასხვა სექციას და ახალბედა ათლეტებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ. კლუბში უკვე მესამე წელია გაიხსნა ფიზიკური კულტურის უნივერსიტეტი, სადაც გაერთიანების საამქროებისა და განყოფილებების სპორტული საბჭოების ხელმძღვანელები კვალიფიკაციას იმაღლებენ.

ა. ვასილევსკი.

● ნოვოსიბირსკი, 25 დეკემბერი. უმაღლესი სპორტული ოსტატობის ადგილობრივი სკოლის ღია ჩემპიონატი ბიატლონში ძალიან საინტერესო ბრძოლით აღინიშნა: ამ სკოლაში ხომ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ა. ტიხონოვი და ვ. მამატოვი აღიზარდნენ. მაგრამ სახელგანთქმულმა სპორტსმენებმა 20 კილომეტრზე პირად რბოლაში პირველობა თავიანთ თანასკოლელს, სპორტის ოსტატ ვ. მელნიკოვს დაუთმეს. გამარჯვებულის დროა 1:38.50.

● ტარტუ, 25 დეკემბერი. დამთავრდა კალათბურთელ ქალთა 6 საუკეთესო პროფკავშირული გუნდის ტურნირი. ბოლო დღეს ვილნიუსის „კიბირკშტისმა" სძლია სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს — რიგის „ტტტ-ს — 51:47 (წინადღით ჩემპიონებმა წააგეს სვერდლოვსკის „ურალმაშთან" — 51:57). ამრიგად, შეჯიბრებაში გაიმარჯვა „კიბირკშტისმა", II ადგილზეა ტტტ, III — მოსკოვის ოლქის „სპარტაკი".

● ლენინგრადი, 25 დეკემბერი. კავგოლოვოს დათოვლილ ფერდობებზე გაიმართა უძლიერესი საბჭოთა ორჭიდელების პირველი შეჯიბრება წლევანდელ სეზონში. ყველას აჯობა გორკის დინამოელმა, 29 წლის ვ. დრიაგინმა, რომელმაც 413,7 ქულა დააგროვა (72,5 და 69 მეტრზე გადახტა და მეორე დღეს III ადგილი დაიკავა 15-კილომეტრიან სათხილამურო რბოლაში — 50.38). რბოლაში საუკეთესო იყო ლენინგრადელი მ. არტიუხოვი — 49.59. სწორედ ამ წარმატებამ გადაიყვანა იგი VII ადგილიდან მეორეზე — 410,5 ქულა (ნახტომები — 71 და 68 მ). ორჭიდელებში ერთად ტრამპლინზე კვლავ აჯობეს „მურმანსკელ მოთხილამურეებმა". მათ გორკში უნდა გაეგრძელებინათ შეჯიბრება, მაგრამ იქ თოვლი არ აღმოჩნდა და გადაწყდა „მეორე ტური" კვლავ ლენინგრადში ჩატარებინათ. ოლიმპიურ ჩემპიონს, ლენინგრადელ ვ. ბელოუსოვს ამჯერად მე-6 ადგილი ერგო: პირველ დღეს ... — 248 ქულა (ნახტომები — 75 და 73,5 მ).

სურათზე: გ. ნაპალკოვი ახტომისას.
ტელეფოტო ნ. ნაუმენკოვისა (სატასი).

კორესპონდენტები გვატყობინებენ

◆ ბათუმი

აჭარის საჭადრაკო გუნდურ პირველობაში მონაწილეობდნენ ბათუმის, ქობულეთის, შუახევის, ქედის რაიონების და ქ. ბათუმის გუნდები. გაიმარჯვა აჭარის დედაქალაქის გუნდმა. II ადგილი წილად ხვდა ბათუმის რაიონის, III — ქობულეთის რაიონის მოჭადრაკეებს. სამწუხაროდ, შეჯიბრებას მეორედ აარიდა თავი ხულოს რაიონის გუნდმა.

გ. ჟანტურია,
ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში.

◆ გორი

ახალგაზრდობის სპორტკლუბის მძლეოსნები რუსთაველ კოლეგებს ეწვივნენ და ამხანაგური შეხვედრა გამართეს „სპორტის დედოფლის" 9 სახეობაში. მასპინძლებმა ხუთ სახეობაში იმარჯვეს.

• • •

ჩატარდა საბჭოთა კონსტიტუციის სახელობის თასის რაიონული გათამაშება ქართულ ჭიდაობაში. პირველად დაწესებული ეს გარდამავალი ჯილდო მძაფრ ბრძოლაში მოიპოვეს მეჯვრისხეველებმა.

ი. თევდორაშვილი.

◆ ზესტაფონი

ადგილობრივი პირველთანრიგოსანი გ. თორჩინძე პიონერთა სახლის ნორჩ მოჭადრაკეებს მსოფლიო პირველობაზე ბრძოლის შესახებ ესაუბრა. მერე მან ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა 19 დაფაზე. მასპინძლებმა 4 პარტია მოიგეს, დანარჩენები კი წააგეს.

• • •

კალათბურთელ გოგონათა საქალაქო შეჯიბრება, რომელიც რაიონის განათლების განყოფილების ინიციატივით მოეწყო, მოიგო რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლის გუნდმა.

• • •

ქალაქის მე-3 საშუალო სკოლაში ბევრი შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. ასპარეზზე ფრენბურთელებმა, კალათბურთელებმა, მოჭადრაკეებმა, მოშაშეებმა და მაგიდის ჩოგბურთელებმა. საინტერესო იყო ლაშქრობა მარშრუტით: ზესტაფონი — კაცხაველეთი — ზესტაფონი. მოგზაურობის სოფ. საკრაულაში მოსწავლეებმა გამართეს ამხანაგური შეხვედრები ადგილობრივ კალათბურთელებთან. ფრენბურთელებთან და გაიმარჯვეს. სკოლის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად და წარმატებით მონაწილეობენ მოსწავლეები ლ. გვენეტაძე, ა. ძაბირაძე, გ. პლახოტნიკოვი, თ. ხუსკივაძე, ც. ძაბირაძე, მ. ჰელიძე, რ. გოგოლაძე და სხვ.

ა. განუგრავა.

◆ ამბროლაური

რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამაში იყო შეჯიბრებები მძლეოსნობაში, კალათბურთში, ხელბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. რვაწლიან სკოლებს შორის გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს სოფ. ხვანჭკარის ნორჩებმა, რომლებმაც მძლეოსნობაში, კალათბურთსა და ფრენბურთში პირველობა არავის დაუთმეს. II ადგილი დაიკავა სოფ. ხიდიკრის, III — სოფ. შროშის გუნდმა. საშუალო სკოლებში იმარჯვეს ამბროლაურის 1-ლი სკოლის სპორტსმენებმა, რომლებმაც ოთხ სახეობაში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს. II ადგილი ხვდათ სოფ. სადმელის, III — სოფ. ლიხეთის სკოლის მოსწავლეებს.

ნ. ქორქოსაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იმედის თვალით

თბილისი. სპორტის სასახლე. 25 დეკემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 66:60 (28:34).

„დინამო": უგრეხელიძე (18), საკანდელიძე (13), ბოლქვაძე (10), სხიერელი (9), ქორქია (6), ლეჟავა (5), მოსეშვილი (3), ჩიხლაძე (2), ნარიმანიძე, მალალაშვილი, ფიცხელაური.

„სპარტაკი": იუმაშევი (11), ფიოდოროვი (10), ივანოვი (9), შტუკინი (9), ბიკოვი (8), ა. ბელოვი (5), ვოლჩკოვი (4), ბოლშაკოვი (2), სკვორცოვი (2), კრივოშჩოკოვი, მაკეევი.

მსაჯები: ვ. კასატიკოვი, ო. კამიშევი (ორივე — მოსკოვი).

მოსკოვის არმიელებთან გულდასაწყვეტი მარცხის შემდეგ თბილისის „დინამოს" ბუღალტერია კიდევ უფრო გაუფერულდა. მოგებულ და წაგებულ შეხვედრათა უარყოფითმა ბალანსმა, ცხადია, არასასურველი სხვაობა შეადგინა ბურთების შეფარდებაშიც. „დინამო", ჯერ კიდევ შარშანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული და გამარჯვების მოყვარული გუნდი, თავის თავდამსხმელთა დაბალი შედეგიანობის მიზეზით უძლიერესთა თორმეტეულს კუდში მოექცა. ვიცე-ჩემპიონმა 27 ნოემბრის მატჩის შემდეგ (კიევის არმიელებთან) ვერც ერთხელ ვერ გადახარა გამარჯვების სასწორი თავის სასარგებლოდ.

მოკლედ, „დინამოს" გუშინწინ არ ჰქონდა წაგების უფლება. მაგრამ ამ მხრივ უფლებააყრილი იყო ლენინგრადის „სპარტაკიც", ვინაიდან იგი თავიდანვე იმედიანად გაჰყურებდა ფინიშს და, ბევრი სპეციალისტის აზრით, არც თუ უსაფუძვლოდ.

პრინციპულ მატჩს ორივე მხარე მტკიცე გადაწყვეტილებით შეუდგა, მაგრამ სწორედ ამ პრინციპულობის მიზეზით „დინამოც" და „სპარტაკიც" უფრო მეტად დაშორდნენ თავიანთ რეალურ ძალას. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმ შეცდომების ალნუსხვას, რომლებსაც მეტოქეები უხვად უშვებდნენ, განსაკუთრებით, მატჩის დებიუტში.

„დინამომ" ამ დღეს ერთი მისთვის დამახასიათებელი შტრიხი გაიხსენა და ამით გულშემატკივრებს იმედის სალერღელი აუშალა ესაა ბრძოლის სიყვარული, უფრო სწორად, გამარჯვების სურვილი, რომლის წინაშეც სხვა ყველაფერი უძლურია. იმისთვის, რომ დაამარცხო მეტოქე, უნდა გიყვარდეს გამარჯვება. გამარჯვებას კი, თავის მხრივ, მაშინ შეიყვარებ, როცა გწამს საკუთარი თავისა, როცა იცი, რომ შეგწევს ძალა ებრძოლო და აჯობო მეტოქეს.

თბილისელთა გუშინწინდელი წარმატება ამ მხრივ სიგნალი უნდა იყოს იმისა, რომ ვიცე-ჩემპიონმა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მიაგნო თავის თავს. „დინამოს" დღეს განსაკუთრებით ესაჭიროება მტკიცე და საიმედო თამაში, ვინაიდან ცსკა-ს მსგავსად ორ ფრონტზე იბრძვის. გუშინწინდელი გამარჯვება შინაურ ფრონტზე მდგომარეობის ერთგვარ სტაბილიზაციას ნიშნავს, და კიდევ—წარმატების გარანტიას თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში.

... პირველი ნახევარი სტუმრების ინიციატივით ჩატარდა. ტაიმის დასაწყისში უპირატესობა უმნიშვნელო იყო, შემდეგ გაიზარდა და ბოლოს 10 ქულას მიაღწია. დაახლოებით მე-17 წუთიდან როლები შეიცვალა, მაგრამ ამასობაში დროც ამოიწურა და მასპინძლებმა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა „დროებით გადადეს".

მეორე ტაიმში ბრძოლა შეწყვეტილი პოზიციიდან განახლდა და ორ წუთში მდგომარეობა გათანაბრდა. აქ, ჩვენი აზრით, გადაწყდა კიდეც შეხვედრის ბედი: „სპარტაკმა" ვერ შეძლო 10-ქულიანი სხვაობის შენარჩუნება. ცხადია, იგი ველარ გაუმკლავდებოდა მეტოქეს, რომელიც, ამასთან, აშკარად უკეთ თამაშობდა. ლენინგრადელებს არ უფიქრიათ ბრძოლის შეწყვეტა — ეს მათ სტილში არ არის. „დინამოს" შეხვედრის ბოლომდე მთელი დატვირთვით მოუხდა თამაში, თუმცა მატჩის შედეგი უკვე ცხადი იყო.

ნ. გუგუშვილი.

• • •



სურათზე: თბილისის დინამოელთა ვეტერანი ა. ლეჟავა მეტოქეთა ტრადიციულ ალყაში. მიდი და, თუ ბიჭი ხარ, გაარღვიე ასეთი ზღუდე — ხელების ნამდვილი ტყე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

დაირღვევა თუ არა ტრადიცია? ● სტუმრად საკუთარ დედაქალაქში ● პირველ ტაიმში გადაწყდა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

კიევი. სატურნირო ცხრილის ზედა ნახევარში უკრაინის არმიელთა გუნდი ერთადერთი კოლექტივია, რომელსაც არც ერთი მატჩი არ მოუგია სტუმრად. შინ იგი იოლად უმკლავდება ფავორიტებსაც კი (ერთადერთი მარცხი ალმავლობის გზაზე დამდგარმა „სტროიტელმა" სწორედ თანაქალაქელებისგან იგემა და ისიც როგორი ანგარიშით — 73:92!), მაგრამ საკმარისია სტუმრად ჩავიდეს და ქულას ქულაზე კარგავს.

მორიგი გამარჯვება უკრაინელმა კალათბურთელებმა კვლავ შინ იზეიმეს: ამჯერად მათ რიგელ თანაკლუბელებს დაამარცხეს ფარ-ხმალი — 56:42 (30:21).

მასპინძლებმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: უკრაინელმა კალათბურთელებმა მთავარ ფავორიტებთან (გასული ჩემპიონატის პირველ ხუთეულთან) ურთიერთობა უკვე გაარკვიეს. ამ მხრივ მათ თითქოს თავი ქუდში აქვთ, მაგრამ შევახსენებთ, რომ დარჩენილ ორ მატჩს („ჟალგირისთან" და „ლოკომოტივთან") სტუმრად ატარებენ. საინტერესოა, დაირღვევა თუ არა ტრადიცია?

ტალინი. ესტონეთის დედაქალაქს ჰყავდა კარგი გუნდი — „დინამო". მაგრამ ეს, ჯერ ერთი, საკმაოდ დიდი ხნის ამბავია და შემდეგ, იგი არც იმდენად კარგი იყო, რომ კონკურენცია გაეწია „კალევისთვის".

როგორც ხედავთ, უმაღლეს ლიგას ღირსეული შემორჩა და რესპუბლიკის საკალათბურთო ცენტრმა დედაქალაქიდან საუნივერსიტეტო ქალაქ ტარტუში გადაინაცვლა. მაგრამ ტარტუელები არ ივიწყებენ დედაქალაქის გულშემატკივართა ინტერესებს და თავის გუნდს ხანდახან ტალინს მიავლენენ.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ „კალევმა" მორიგი კალენდარული შეხვედრა ტალინში გამართა. ადგილობრივი გულშემატკივრები კმაყოფილი არიან: ტარტუელებმა დაამარცხეს ალმა-ათის „ლოკომოტივი" — 88:75 (45:34).

სვერდლოვსკი. ადგილობრივმა „ურალმაშმა" კაუნასის „ჟალგირისს" უმასპინძლა. შეხვედრის ბედი ფაქტიურად პირველ ტაიმში გადაწყდა: სტუმრებმა 19 ქულით გაიმარჯვეს — 48:29. შესვენების შემდეგ იგრძნობოდა მასპინძლების ერთგვარი უპირატესობა, მაგრამ საბოლოოდ ისინი დამარცხდნენ — 78:92.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სტროიტელი" (კიევი)	8	7	1	692—587	7
ცსკა	8	7	1	673—577	7
„ჟალგირისი" (კაუნასი)	8	6	2	644—615	6
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	8	6	2	628—574	6
ასკა (კიევი)	9	5	4	681—632	5
„კალევი" (ტარტუ)	7	4	3	568—572	4
„დინამო" (მოსკოვი)	7	3	4	578—562	3
„დინამო" (თბილისი)	7	3	4	496—551	3
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	8	2	6	606—672	2
ასკა (რიგა)	8	2	6	568—624	2
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	9	1	8	676—777	1
„ლოკომოტივი" (ალმა-ათა)	7	1	6	547—614	1



საუკეთესო დებიუტანტი

მოსკოვი. ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირი „იზვესტია-69". 19 წლის მეკარე ვ. ტრეტიაკი საბჭოთა ნაკრების საუკეთესო დებიუტანტადაა აღიარებული.

ფოტო დ. დონსკოისა და ი. სომოვისა.

ახალი მწვრთნელები

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელებს ახლა შვებულება აქვთ, მაგრამ საქმიანობა კოლექტივებში არ წყდება. მიდიან ვეტერანები, მათს ადგილს ახალგაზრდობა იჭერს. „ა" კლასის გუნდებში მწვრთნელთა შორისაც მოხდა ცვლილებები.

ცსკა-ს სათავეში კვლავ ჩაუდგა სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ნიკოლაევი, რომელიც ადრე ჯერ თამაშობდა ამ გუნდში, ხოლო შემდეგ წვრთნიდა მას. მინსკის „დინამოს" უფროს მწვრთნელად დანიშნულია ამავე გუნდის ყოფილი მოთამაშე, სპორტის ოსტატი ი. მოზერი. დონეცკის „შახტიორს" სათავეში ჩაუდგა სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ვოინოვი, ალმა-ათის „კაირატს" — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. სევიდოვი, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს" — სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბლინკოვი.

ქუთაისის „ტორპედოს" უფროს მწვრთნელად დანიშნულია სპორტის ოსტატი ა. კოტრიკაძე.

ს. კოტრიკაძე ამზადებს მეკარეებს

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა საწვრთნელ ბაზაზე მოეწყო პერსპექტიულ მეკარეთა ერთთვიანი შეკრება, რომლის ინიციატორები იყვნენ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ფეხბურთის სამმართველო და „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო.

ახალგაზრდა მეკარეთა შეკრებას ხელმძღვანელობდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. კოტრიკაძე.

დამნაშავე დაისჯება

ჩვენმა ცხაკაიელმა კორესპონდენტმა ე. გუგუნავამ ასეთი შინაარსის წერილი გამოგზავნა რედაქციაში:

„ცხაკაიაში დანიშნული იყო რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „კოლხეთსა" და წალენჯიხის „კოლმეურნეს" შორის. ბათუმელმა არბიტრმა ი. კუსიძემ სასტვენით გამოიძახა გუნდები სათამაშოდ. „კოლხეთი" გავიდა მინდვრის ცენტრში, მაგრამ წალენჯიხელები აგვიანებდნენ თამაშის დასაწყებად გასვლას. ისინი იქვე იდგნენ და უსმენდნენ თავიანთ მწვრთნელს ი. მჭედლიშვილს, რომელმაც მაინცდამაინც ახლა მოისურვა დავალებები მიეცა მოთამაშეებისთვის. სინამდვილეში მწვრთნელი დემონსტრაციულად აგვიანებდა გუნდის გაშვებას მინდორზე.

დაიწყო თამაში. სტუმრები თავიდანვე უხეშობდნენ და არღვევდნენ წესს. „კოლხეთის" ერთ-ერთი შეტევისას, მე-20 წუთზე, წალენჯიხელი მცველები უხეშად ეთამაშნენ მეტოქეს და მსაჯმა სამართლიანად დანიშნა საჯარიმო. ო. ქაჩიბაიამ 25 მეტრის მანძილიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი მოხვდა „კოლმეურნის" ერთ-ერთ მცველს და ბადეში აღმოჩნდა. ეს იყო კანონიერი გოლი, მაგრამ წალენჯიხელმა ფეხბურთელებმა ნამდვილი ლაშქრობა მოაწყვეს მსაჯის წინააღმდეგ. განსაკუთრებით აქტიურობდა მათი მწვრთნელი ი. მჭედლიშვილი, ვერ აღვწერთ იმ შეურაცხყოფას, რაც წალენჯიხელმა ფეხბურთელებმა და პირადად ი. მჭედლიშვილმა მიაყენეს მსაჯს. ეს უკანასკნელი იძულებული იყო შეეწყვიტა მატჩი".

კორესპონდენციაში აღწერილი ამბავი დადასტურდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ თავის სხდომაზე გამოიძახა ი. მჭედლიშვილი. საკითხი გაირჩა, წალენჯიხის „კოლმეურნეს" ჩაეთვალა წაგება, მაგრამ თვით ი. მჭედლიშვილის საკითხი გადაიდო, ვინაიდან იგი... არ გამოცხადდა ამ სხდომაზე. სპორტტექნიკურმა კომისიამ დაადგინა ხულიგანი მწვრთნელის საქმე განსახილველად გადასცეს ფედერაციის პრეზიდიუმს. უდავოა, ი. მჭედლიშვილი ღირსეულ სასჯელს მიიღებს.

ამავე სხდომაზე განხილულ იქნა თელავის „კახეთისა" და გურჯაანის „ალაზნის" მატჩში მომხდარი ინციდენტი. გურჯაანელებმა არასწორად მიიჩნიეს მსაჯის გადაწყვეტილება და დატოვეს მინდორი. გუნდის ხელმძღვანელობა და მწვრთნელი დ. მაჭავარიანი გაფრთხილებული არიან, რომ კოლექტივში დამყარდეს სათანადო წესრიგი. 2 კალენდარული მატჩით დისკვალიფიკაცია მიეცა კუპრაშვილს და 5 თამაშით — პიტურაშვილს. ეს დისკვალიფიკაცია ძალაში შევა გაისად.

დისციპლინა დაირღვა ლანჩხუთის „კოლმეურნისა" და ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდის მატჩში. მსაჯი იძულებული იყო 4 ბოლნისელი მოთამაშე გაეძევებინა მინდვრიდან. ბოლნისელებს ჩაეთვალათ წაგება, ხოლო მოთამაშეები თაბაგარი, ტუაევი, არუთინოვი და ჯაფარიძე პირობით დისკვალიფიცირებული არიან 1970 წლის სეზონის ბოლომდე. გუნდის კაპიტნობიდან მოხსნილია ჯაფარიძე.

პიონერები

საქართველოში ტანვარჯიშის განვითარების ისტორიას რომ გადახედოთ, უეჭველად შეამჩნევთ იმ დიდ წვლილს, რომელიც ამ საქმეში შეიტანა საზოგადოება „სოკოლმა“. ისე არ მიიღოთ, თითქოს ამ საზოგადოების მოღვაწეობის მთელი გზა ია-ვარდებით იყო მოფენილი. პირიქით, „სოკოლს“ წინ ეღობებოდა უამრავი დაბრკოლება და მისი ცალკეული წევრების შესაშური ენერგია რომ არა, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა საზოგადოების საქმიანობა.

მინდა გიამბოთ მისი მუშაობის მხოლოდ ერთი მონაკვეთის შესახებ. თბილისის ტანვარჯიშულ საზოგადოება „სოკოლში“, რომელიც ქალაქის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში იყო მოთავსებული, ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეების მომზადებას ხელმძღვანელობდნენ ა. ლუკეში და გ. ეგნატაშვილი. სწორედ ამ ადამიანების მიერ აღზრდილმა ტანმოვარჯიშეებმა 1912 წელს I ადგილი მოიპოვეს პრაღაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მეორე ჯგუფის გუნდებს შორის.

ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდას ემსახურებოდნენ გ. ეგნატაშვილი, ი. ვახეკი, მ. მოხოვი, ფ. ნოვაკი, პ. ნოვაკი, ლ. შულცი, ქ. ურიმაგოვი, ვ. გოშტავტი, ა. კაშოიანი, პ. გონელი და სხვ.

პრაღიდან დაბრუნების შემდეგ ეგნატაშვილი შეუდგა გუნდის მზადებას პეტერბურგის 1914 წლის შეჯიბრებისთვის. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო ეს ღონისძიება ჩაიშალა.

ომის დამთავრებისა და მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ გ. ბერელაშვილმა და დ. ჯავრიშვილმა თბილისში ჩამოაყალიბეს საზოგადოება „ამირანი“. ამ საზოგადოებაში უმთავრესად ოფიცრები იყვნენ გაერთიანებული. სამხედრო კავშირთან დაარსებული „ამირანი“ უფრო მეტად ვიწრო წრეს ემსახურებოდა. ამ პერიოდში ფრონტიდან დაბრუნდნენ ძველი ტანმოვარჯიშეები გ. ეგნატაშვილი, გ. ნიკოლაძე, ვ. ბერიძე, ი. ლორთქიფანიძე, ამ სტრიქონების ავტორი და სხვები. „ამირანის“ მუშაკებთან ერთად მოეწყო გაერთიანებული კრება, სადაც დაისვა საკითხი „ამირანის“ ლიკვიდაციისა და მის ბაზაზე უფრო ფართო მნიშვნელობის საზოგადოების შექმნის შესახებ, რომელიც მომსახურებას გაუწევდა არა მარტო სამხედრო პირებს, არამედ მთელს მოსახლეობას.

შემდეგ ჩატარდა მოსამზადებელი მუშაობა, მოწვეულ იქნა თათბირი, დამტკიცდა საზოგადოების წესდება და გამოიყო კომისია, რომელმაც ჩაიბარა საზოგადოება „ამირანის“ მოძრავი ქონება. მოთავე ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: საზოგადოება „ამირანის“ ვარჯიშთავი გ. ბერელაშვილი, მისი მოადგილე დ. ჯავრიშვილი, გ. ეგნატაშვილი, გ. ნიკოლაძე, ვ. ბერიძე, ი. ლორთქიფანიძე და გ. ბერიძე.

1918 წლის 25 აგვისტოს შედგა თბილისის პირველი ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენის“ დამფუძნებელი კრება. საზოგადოება დაბინავდა საუკეთესო დარბაზში, რომელიც მეფის დროს ოფიცერთა საფარიკაო სკოლისთვის იყო განკუთვნილი. ამ სარბიელის მშენებლობა დაიწყო 1912 წელს პოლკოვნიკ პერეკრიოსტოვის თაოსნობით (აღნიშნული მშენებლობა დამთავრდა 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე).

დარბაზის ჩაბარების შემდეგ ეგნატაშვილმა კვლავ მოუყარა თავი რამდენიმე მოვარჯიშეს და გაიშალა მუშაობა. პირველ მეცადინეობას დაესწრო შვიდი კაცი — გ. ეგნატაშვილი, გ. ბერელაშვილი, გ. ნიკოლაძე, დ. ჯავრიშვილი, ი. ბერიძე, ი. ლორთქიფანიძე და გ. ბერიძე. ამ უზარმაზარ დარბაზს გვინათებდა კარტოფილის სანთელი, რომელიც ერთი იარაღიდან მეორეზე გადაგვქონდა. შემდეგ მეცადინეობაზე ექვსი მოვარჯიშე მოგვემატა — ა. ბაქრაძე, გ. თაყაიშვილი, გ. ლაზროშვილი, გ. მერკვილაძე, გ. ავალიშვილი და ი. მაჭავარიანი (ამრიგად, ცამეტ კაცში რვა გიორგი ვიყავით).

ერთი წლის შემდეგ, ვაკეში, ერთ მინდორზე (ამჟამად „ლოკომოტივის“ სტადიონი) მოეწყო საზოგადოება „შევარდენის“ მასობრივი სანახაობა, რომელშიც 136 კაცი მონაწილეობდა.

საზოგადოება „შევარდენი“ მარტო ტანვარჯიშით არ იფარგლებოდა. ტანვარჯიშული სკოლის (ხელმძღვანელი გ. ბერელაშვილი) გარდა, აქ ჩამოყალიბდა მძლეოსანთა (გ. გიორგაძე), ძალოსანთა (პ. მარლანიძე, შემდეგ გ. ჩიკვაიძე), მთამსვლელთა (ს. ასლანიშვილი), მოფარიკავეთა (ა. ფიოდოროვი), მსროლელთა (გ. ბერელაშვილი), ჩოგბურთელთა (ვ. ყარანგოზიშვილი) სექციები. უნდა აღინიშნოს პ. მარლანიძის ღვაწლი. იგი ხელმძღვანელობდა ჭიდაობის, კრივის, სიმძიმეების აწევისა და ველოსპორტის სექციებს. სპორტსმენებს მარლანიძე უსასყიდლოდ ამეცადინებდა, ჭიდაობისა და სიმძიმეების აწევის სექციისთვის ბელინსკის ქუჩაზე სარდაფი ჰქონდა დაქირავებული, ქირას საკუთარი ჯიბიდან იხდიდა და საჭირო ინვენტარსაც თავისი ფულით იძენდა.

თბილისში, თელავში, ველისციხეში, მცხეთაში, ბათუმში, ახალ სენაკში, ქუთაისში, ფოთში, დიდ ჯიხაიშში, საგარეჯოში და სიღნაღში საავიტაციო და ძალოსნური გამოსვლები მოეწყო. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მწვრთნელთა და პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად გადასამზადებელი კურსები მოეწყო. კურსებს ხელმძღვანელობდნენ გ. ეგნატაშვილი, გ. ნიკოლაძე, თამარ ნიკოლაძე, გ. ჩიკვაიძე, ი. ვახეკი და გ. მერკვილაძე.

რესპუბლიკის ბევრ ქალაქში ჩამოყალიბდა ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდენი“ და ვარჯიშთავებად გამოყოფილ იქნენ: ქუთაისში — დ. ჯავრიშვილი და შემდეგ მ. გორგაძე, ა. კაკაბაძე (საზოგადოებას 1098 წევრი ჰყავდა), ბათუმში — გ. მერკვილაძე, დ. ჯავრიშვილი, ლ. ახვლედიანი (736), ფოთში — ლ. ბათიაშვილი (150), ახალ სენაკში — ი. კიზირია (170), ზესტაფონში — ა. ხიჯაკაძე (176), თელავში — ნ. ზალდასტანიშვილი (150) და სხვ.

მაშინ მომეცადინეთა რიცხვი თბილისში შეადგენდა 1965, ხოლო მთლიანად საქართველოში — 5143 კაცს.

ვ. ბერიძე,
საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე.

ტამპერე მეორე კანდიდატია

ჰელსინკი, 24 დეკემბერი. ფინეთის ქალაქმა ტამპერემ 1976 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად წამოაყენა თავისი კანდიდატურა. როგორც იუპ-ის სააგენტო იუწყება, ქალაქის საბჭომ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ფინეთის მეორე ქალაქმა ლაჰტიმ თავისი კანდიდატურა მოხსნა.

ამგვარად, 1976 წლის თეთრი ოლიმპიადის მასპინძლობა 8 ქალაქს სურს. ესენი არიან: დენვერი (აშშ), ვანკუვერი (კანადა), ბოლცანო (იტალია), სიერა-ნევადა (ესპანეთი), ესტერსუნდი (შვეცია), გარმიშ-პარტენკირხენი (გფრ), სიონი (შვეიცარია) და ბოლოს, ტამპერე.

1976 წლის თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი გაისად მაისში თავის სესიაზე აირჩევს.

პელე — მსახიობი

„ომმა, ტანჯვამ და ცრემლებმა მოიცვა პლანეტა გამა. შეშფოთებული და სასოწარკვეთილი ახალგაზრდები დახმარებისთვის მიმართავენ კეთილ და საუკეთესო ადამიანს — მწერალ პომპეის. ხალხი მწერალს სთხოვს, რათა იგი მათ ჩვენი სამყაროსკენ წამოუძღვეს და აქ ჰპოვონ ხსნა...“

ეს მხოლოდ არასრული, ერთობ მოკლე შინაარსია ბრაზილიის იმ სატელევიზიო სპექტაკლისა, რომელიც, როგორც ამბობენ, ჩვეულებრივი სამხრეთამერიკული საჟანრო სანახაობების დონეს არ აღემატება.

მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ სპექტაკლში მონაწილეობს და ხალხის წინამძღოლის პომპეის როლს განასახიერებს „ფეხბურთის მეფე“ — ედსონ არანტეს დო ნასიმენტო, პელე. ეს წინასწარ იძლეოდა სანახაობის წარმატების გარანტიას.

ბრაზილიელებს შესაძლებლობა ჰქონდათ ენახათ თავიანთი კერპი ახალ ამპლუაში. მისმა თაყვანისმცემლებმა არანაკლები სიამოვნება მიიღეს პელე-მსახიობისგან. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, პელე ისე სრულყოფილი და მაღალი პროფესიული დონით წარუდგა მაყურებლებს, რომ ახალბედას შებოჭილობა მის თამაშში ოდნავადაც არ იგრძნობოდა.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

რამსეი წინასწარმეტყველის როლში

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა ა. რამსეიმ თავისი აზრი გამოთქვა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილე გუნდების შესახებ. მისი შეხედულებით, მეოთხედფინალში გავლენ ინგლისის, ბრაზილიის, გფრ-ის, მექსიკის, სსრ კავშირის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიისა და ურუგვაის გუნდები.

რამსეიმ განაცხადა, რომ ყოველივე ეს პირადი შთაბეჭდილებებით დაასკვნა. იგი შეეხო სსრ კავშირის ნაკრების თამაშს და თქვა, რომ მას ყველაფერი რიგზე არა აქვს დაცვაში. „გუნდის უძლიერესი მოთამაშეა ქ. ასათიანია“, — დაადასტურა ჯერ კიდევ ადრე გამოთქმული აზრი ინგლისელთა მწვრთნელმა.

ჩაიკოვსკის ბედმა უმტყუნა

იუგოსლავიის ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ ზ. ჩაიკოვსკიმ მწვრთნელის დიდი ავტორიტეტი მოიპოვა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მისმა კლუბმა „ბაიერნმა“ (მიუნჰენი) ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. ჩაიკოვსკიმ თავისი მისია „ბაიერნში“ შესრულებულად ჩათვალა და „კიოლნში“ გადავიდა, რომელიც რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა. მაშინ ჩაიკოვსკიმ „კიოლნიც“ მიატოვა და „ჰანოვერ-96“-ს ჩაუდგა სათავეში.

აი, აქ კი ჩაიკოვსკის ბედმა უმტყუნა: გფრ-ის ახლანდელ ჩემპიონატში „ჰანოვერი“ მარცხს მარცხზე განიცდის. ამას ჩაიკოვსკის თანამდებობიდან განთავისუფლება მოჰყვა და სახელოვანი მწვრთნელი უმუშევართა რიგებში აღმოჩნდა.

როგორც მის ხსოვნას შეჰფერის

ის იყო უბრალო, გულმართალი ბიჭი. უყვარდა თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, ომახიანი მრავალჟამიერი, ზაფხულის მშვიდი ზღვა, საკონცერტო დარბაზები, მთებში გაჭრილი საცალფეხო ბილიკები, რომლებიც საფარიკაო ასპარეზს აგონებდა. ახალი ნაცნობებისთვის ის უბრალოდ მალხაზ ადეიშვილი იყო — ლიტერატურისა და მუსიკის უსაზღვრო მოტრფიალე. ეს ალბათ იმიტომ ხდებოდა, რომ ფარიკაობაზე ძვირად თუ დასცდებოდა სიტყვა.

მაგრამ ჩვენ, მისმა მეგობრებმა მშვენივრად ვიცოდით, რას ნიშნავდა მალხაზისთვის ფარიკაობა. ეს მისთვის მუდამ იყო რაღაც უჩვეულო, რომანტიკით აღსავსე სამყარო, სადაც პოულობდა სიხარულსა და სინანულს, ძლიერ ემოციებს, რაც ასე სჭირდება ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გამარჯვება არასოდეს ყოფილა მალხაზისთვის თვითმიზანი. მისი დევიზი იყო: „უმჯობესია გულმშვიდად შეეგუო დამარცხებას, ვიდრე მიაღწიო გამარჯვებას არაკეთილსინდისიერი გზით“. თვით უძნელესი, გადამწყვეტი ბრძოლის წუთებშიც კი მას ხშირად მიუწოდებია მეტოქისთვის ხელიდან უნებურად გავარდნილი იარაღი. და ეს ჟესტი არასოდეს ყოფილა პოზა. ძნელია, ძალზე ძნელია წაგებული შეხვედრის შემდეგ გულწრფელად გაუღიმო მოწინააღმდეგეს და მშვიდად დატოვო საფარიკაო ბილიკი. ასე იქცეოდა მუდამ მალხაზი და არ იფიქროთ, თითქოს ამით ჩვეულებრივ მოვალეობას იხდიდა. უბრალოდ, იგი ასეთი იყო ბუნებით.

ადრეული ბავშვობიდანვე მალხაზი ბაძავდა თავის საყვარელ ლიტერატურულ გმირებს და მათ საუკეთესო თვისებებს იძენდა. ხშირად იმეორებდა სენტ-ეკზიუპერის სიტყვებს: „შენ ვალდებული ხარ იზრუნო იმაზე, ვინც მოიშინაურე“... იგი კეთილად იღიმებოდა და ამ გამოთქმაში თითქოს მხოლოდ თავისთვის ახლობელ და გასაგებ შინაარსს პოულობდა.

საათობით იდგა ფიროსმანის ნახატების წინ და აღტაცებას ვერ მალავდა. მეგობრებმა იცოდნენ მისი გატაცება. როცა ერთხელ ჰკითხეს: რატომ მოგწონს ასე ფიროსმანიო? — მან ცოტა არ იყოს, გაოცებულმა თქვა:

— ხალასია, ძალიან ხალასი.

ის თავად იყო ალალი და იოტისოდენა სიყალბესაც ვერ იტანდა.

მეტოქისთვის მიწოდებული იარაღი, საყვარელ წიგნში ამოცნობილი ჭეშმარიტება, დიდი ხელოვნის ნამუშევრის შეგრძნება... ყოველივე ეს მისთვის თუნდაც მცირე, მაგრამ დაუსრულებელი გამარჯვებები იყო ხანმოკლე ცხოვრების გზაზე. ეს გზა მოულოდნელად შეწყდა...

მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა. ხუთი წელია კედელზე ჰკიდია მისი ხმალი, ჭაბუკი მოფარიკავის უსაყვარლესი იარაღი, რომლის მფლობელიც ახლა ოცდახუთი წლისა იქნებოდა.

მეოთხედ ჩამოვიდნენ თბილისში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მუშკეტერები, რათა ისევ რაინდულად და კეთილშობილურად იბრძოლონ მალხაზ ადეიშვილის სახელობის თასის მოსაპოვებლად. იბრძოლონ ისე, როგორც ეს მის ხსოვნას შეჰფერის.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული ცხოვრება

ფარიკაობა. „ბურევესტნიკის“ სპორტული დარბაზი. 27 დეკემბერი. მ. ადეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშება. მონაწილეობენ: მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები მ. რაკიტა, ვ. სიდიაკი, უ. მავლიხანოვი, ვ. ნაზლიმოვი და ე. ვინოკუროვი, სპორტის ოსტატები მ. სახვაძე, გ. ლორთქიფანიძე, დ. შარაშენიძე, ა. გაგულაშვილი და სხვ. დასაწყისი 12 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 6 უე 12050